„ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის/ბიბლიოთეკის დასახელება	კონკურსანტის სახელი, გვარი, პოზიცია
სსიპ ქალაქ გორის N10 საჯარო სკოლა	ხატია ხაბაშვილი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
რატომ გსურთ ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში/ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას/ბიბლიოთეკას და განათლების პროცესს?	სსიპ გორის N10 საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების სწავლება ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, რასაც მოწმობს სკოლაში აქტიურად მოქმედი კლუბი „ნეო'თემიდა“. როგორც ამ კლუბის ხელმძღვანელი და „ფინედუს“ ოფიციალური დესპანი, მუდმივად ვცდილობ, მოსწავლეებს მივაწოდო ისეთი ცოდნა, რომელიც მათ რეალურ ცხოვრებაში გამოადგებათ. ჩვენს მოსწავლეებს უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილება, მონაწილეობდნენ „ფინედუს“ კომიქსების კონკურსში და არაერთხელ უმასპინძლეს მოწვეულ სტუმრებს, თუმცა ამ ენთუზიაზმის შესანარჩუნებლად და გასაღრმავებლად აუცილებელია სკოლის ბიბლიოთეკაში არსებობდეს მუდმივი, ფიზიკური სივრცე. „ფინედუს“ კუთხის დამატება მოგვცემს საშუალებას, რომ ფინანსური წიგნიერების საკითხები არ იყოს მხოლოდ ერთჯერადი აქტივობების საგანი, არამედ იქცეს მუდმივ საგანმანათლებლო პროცესად, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს ნებისმიერ დროს შეეძლება საჭირო რესურსის მოძიება და შემეცნება. ბიბლიოთეკაში ამ კუთხის მოწყობა მნიშვნელოვნად გააძლიერებს საგაკვეთილო პროცესსაც, რადგან მასწავლებლებს გვექნება შესაძლებლობა, სამოქალაქო განათლებისა თუ სხვა საგნების ფარგლებში, მოსწავლეები გავიყვანოთ საკლასო ოთახიდან და ინტერაქციულ გარემოში ვასწავლოთ მათ ფინანსების მართვა. ეს სივრცე იქნება ერთგვარი ლაბორატორია, სადაც თეორიული მასალა პრაქტიკულ თამაშებსა და დისკუსიებში გადაიზარდოს. „ფინედუს“ კუთხე დაგვეხმარება, რომ სკოლის ბიბლიოთეკა უფრო თანამედროვე და მიმზიდველი გახდეს ახალგაზრდებისთვის, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მათი პასუხისმგებლიანი ეკონომიკური ქცევის ჩამოყალიბებასა და ციფრულ სამყაროში უსაფრთხო ნავიგაციას.

„ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

პროექტის /აქტივობის დეტალები	ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დაიწყებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2026 წლის 20 დეკემბრამდე. • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, ციფრული პროექტები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია, საჯარო შეხვედრები ბიბლიოთეკის სივრცეში, სოციალურ ქსელებში კამპანიები და სხვ. • შეგიძლიათ აღწეროთ გრძელვადიანი პროექტი, რომლის პირველ აქტივობასაც 20.12.2026-მდე ჩაატარებთ
მიზნობრივი სეგმენტი (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)	პროექტის მთავარი მონაწილეები იქნებიან მე-7 - მე-11 კლასის მოსწავლეები. გარდა ამისა, აქტივობებში ჩაერთვებიან მშობლები, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები და სკოლის თემის სხვა წარმომადგენლები, რათა ციფრული ფინანსური უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია ფართოდ გავრცელდეს
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	პროექტი სრულად განხორციელდება სკოლის ბიბლიოთეკის ბაზაზე, ახლად გახსნილ „ფინედუს“ კუთხეში. აქტივობები გადანაწილდება 4 კვირაზე, კვირაში 2 შეხვედრის სიხშირით (სულ 8 ძირითადი სესია), რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალის თანმიმდევრულ, საფუძვლიან და ლოგიკურ ათვისებას.შემდეგ დაიწყება თანატოლგანმანათლებელთა სესიები.
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	პროექტის მთავარი ინიციატორი და მამოძრავებელი ძალა სამოქალაქო განათლების კლუბი „ნეო'თემიდაა“. პროცესს აკადემიურად და ორგანიზაციულად ვუხელმძღვანელებ მე, როგორც სამოქალაქო განათლების პედაგოგი და „ფინედუს“ დესპანი, ასევე კიბერუსაფრთხოების ერთ-ერთი კურსის კუსდამთავრებული. მოსწავლეთა დამოუკიდებლობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, პროექტში ჩართული იქნება სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობაც. საინფორმაციო და პრაქტიკული ნაწილის გასამყარებლად, დაგეგმილი გვაქვს დისტანციური/ონლაინ ან პირისპირი შეხვედრის ორგანიზება ფინანსური სექტორის მოქმედ ექსპერტთან, რომელიც კიბერუსაფრთხოებისა და საბანკო მომსახურების სფეროში მუშაობს და მოსწავლეებს რეალურ, პრაქტიკულ ქეისებს გაუზიარებს.
პროექტის/აქტივობის აღწერა (რეკომენდირებულია 500-მდე სიტყვა) (მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ უკავშირდება იგი ციფრულ განათლებასა ან/და	ჩვენი პროექტი, სახელწოდებით „ციფრული მეგზური ფინანსების სამყაროში“, ეყრდნობა თანატოლთა სწავლებისა და მენტორობის (Peer-to-Peer) ინოვაციურ მეთოდს, რაც სამოქალაქო განათლების პრაქტიკაში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და ეფექტურ მიდგომად არის აღიარებული. პროექტის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ კლუბ „ნეო'თემიდას“ უფროსკლასელები (მე-11, მე-10 და ასევე, მე-9 კლასი - რომელთა სასწავლო პროგრამა პირდაპირ ითვალისწინებს ეკონომიკური და ფინანსური წიგნიერების მოდულებს), რომლებიც ჩემთან ერთად წინასწარ გაივლიან საფუძვლიან მომზადებას ციფრული ფინანსური წიგნიერების საკითხებში, ხდებიან მენტორები და გზამკვლევები დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასები) მოსწავლეებისთვის, პროექტის ფარგლებში შეხვედრები დაიყოფა

კიბერუსაფრთხოებას, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი გრძელვადიანი თუ ერთჯერადი)	სამ ძირითად თემატურ ბლოკად, სადაც გამოყენებული იქნება „ფინედუსგან“ მიღებული ყველა ძირითადი საკონკურსო მასალა. პირველი ბლოკი დაეთმობა ციფრულ გარემოში ფულის მოძრაობისა და ბიუჯეტირების საფუძვლებს. აქ მენტორები გამოიყენებენ კომიქსებს „ბიუჯეტირება და დაზოგვა“ და „ფინანსების მცველები“, რომელთა მეშვეობითაც, ნაცნობი გმირების დახმარებით, სახალისო ფორმატში აუხსნიან უმცროს მეგობრებს ელექტრონული ფულის, ონლაინ შესყიდვებისა და ციფრული სერვისების ეფექტურად გამოყენების წესებს. შემეცნებითი ნაწილის გასამყარებლად, მოსწავლეები ასევე ერთობლივად ნახავენ დოკუმენტური ფილმების სერიას „ქართული ფულის თავგადასავალი - 30 ამბავი“. პროექტის ცენტრალური და ყველაზე მოცულობითი ნაწილი მთლიანად დაეთმობა ციფრულ უსაფრთხოებასა და კიბერჰიგიენას, რაც კრიტიკულად აქტუალურია თანამედროვე მოზარდებისთვის. სამაგიდო თამაშების „ფინანსური სისტემის გზამკვლევისა“ და „ფინანსური ასოციაციობანას“ გამოყენებით, ბიბლიოთეკის კუთხეში მოეწყობა ინტერაქციული სიმულაციები. შეხვედრების დროს მოსწავლეები განიხილავენ რეალურ ქეისებს ფინანსურ თაღლითობაზე, ისწავლიან ფიშინგური შეტყობინებების ამოცნობას, ძლიერი პაროლების შექმნის ტექნიკასა და პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმებს. მესამე ბლოკი დაეთმობა ფინანსების დისტანციურ მართვას, სადაც სახელმძღვანელოს „ფინანსური განათლება მარტივად“ დახმარებით მოსწავლეები გააანალიზებენ, თუ როგორ მუშაობს დისტანციური საბანკო მომსახურება. პროექტში უშუალოდ, მუდმივ რეჟიმში ჩაერთვება 30-მდე მოსწავლე, თუმცა მათი აქტივობებით, თანატოლგანმანათლებლობის პრინციპით, საინფორმაციო ტალღა მთელ სკოლას დაფარავს. პროექტის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, კლუბი „ნეო'თემიდა“ ახლად გახსნილ „ფინედუს კუთხეში“ შექმნის მუდმივმოქმედ სტენდს: „ციფრული უსაფრთხოების რჩევების კედელი“. აქ განთავსდება მოსწავლეების მიერ შექმნილი საინფორმაციო ფლაერები და კედლის გაზეთები. გარდა ამისა, უფროსკლასელები მოამზადებენ სპეციალურ მოკლე, ვიზუალურ პრეზენტაციებს მშობლებისთვის, რათა თემშიც ამაღლდეს ცნობიერება კიბერუსაფრთხოებაზე. ასევე, ვაწარმოებთ ციფრულ კამპანიას სამოქალაქო განათლების კლუბის სოციალურ ქსელში. პროექტის ფინალურ ეტაპზე, ბიბლიოთეკის სივრცეში მოეწყობა მასშტაბური შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც მოხდება მიღწეული შედეგების პრეზენტაცია, საუკეთესო მენტორების წახალისება და კლუბის მიერ შემუშავებული ციფრული რეკომენდაციების გაზიარება სკოლის საზოგადოებისთვის.
პროექტის/აქტივობის მოსალოდნელი შედეგი (მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)	პროექტის უმთავრესი შედეგი იქნება მოსწავლეთა მიერ ციფრული ფინანსური უსაფრთხოების წესების გაცნობიერება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროექტის წარმატება და შედეგები გაიზომება რამდენიმე კონკრეტული ინდიკატორით. პირველ რიგში, ჩატარდება ორეტაპიანი ანონიმური ტესტირება (პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ), რაც ნათლად აჩვენებს ცოდნის დონის პროგრესს. მეორე მხრივ, შეიქმნება მატერიალური და ციფრული პროდუქტები: მოსწავლეთა მიერ მომზადებული საინფორმაციო პოსტერები ბიბლიოთეკაში და კლუბ „ნეო'თემიდას“ სოციალურ

	ქსელებში გაშვებული ციფრული კამპანია, რომელიც სკოლის გარეთაც გაავრცელებს კიბერუსაფრთხოების გზავნილებს. საბოლოო და ყველაზე ხელშესახები შედეგი კი იქნება ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებული, ფუნქციურად დატვირთული „ფინედუს“ კუთხე, რომელიც მომავალ სასწავლო წლებშიც მუდმივად დაეხმარება სკოლას.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/გრძელვადიანი პროექტის შემთხვევაში - დაწყებას	პროექტის მოსამზადებელი პერიოდი და მენტორთა ტრენინგები დაიწყება 2026 წლის სექტემბრის ბოლოდან, უშუალოდ აქტიური ფაზა და შეხვედრები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან და მშობლებთან განხორციელდება ოქტომბერ-ნოემბერში, ხოლო შემაჯამებელი ღონისძიება და პროექტის სრული დასრულება მოხდება 2026 წლის 20 დეკემბრამდე